MES 3 23 0000937167

27/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14. 07. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:31 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

8. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
9. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
11. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
15. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
16. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
17. **ნინო ღაღანიძე** -სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
18. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1. **ზაზა ავალიანი** - შპს “ევროპის უნივერსიტეტის” მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
2. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;
3. **მარინე გელანტია** - სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
4. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **დავით თათოშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
7. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
8. **ბიძინა კულუმბეგოვი** - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

9. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
10. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
12. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **შორენა წიკლაური** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
15. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ნათია გოცაძე	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი"ალტერბრიჯი"	რექტორი;	**I I**
2	მარიამ დარბაიძე		ხარისხის სამსახურის უფროსი	**I I**
3	თამთა ჰაგერ		პროგრამის ხელმძღვანელი;	**I I**
4	მაკო ჯაოშვილი-		პროგრამის თანახელმძღვანელი	**I I**
5	რამაზ კუკულაძე		პრეზიდენტი	**I**

6	ნინო ალავიძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი	I
7	ირმა ნოზაძე		საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	I
8	ნატო ხურცილავა		ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი	I
9	ქეთევან ჩახნაშვილი		მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანი	I
10	ეკა აბჟანდაძე		საგანამანთლებლო პროგრამის - ,,მედიცინა" ხელმძღვანელი	I
	დიმიტრი ხორავა		კონსულტანტი ფინანსურ საკითხებში	I
11	თამარ მგელაძე		OSCE - ის ცენტრის ხელმძღვანელი	I
12	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
13	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	III, IV, V
14	ზურაბ გვიშიანი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V
15	მაია კილაძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III, IV, V
16	მარინა ჯავახიშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის	III, IV, V

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
17	ნინო ლომიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V
18	აკაკი გუნცაძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	III, IV, V
19	ელინა ქრისტესიაშვილი		სტუ-ის მშენებლობის ეკონიმიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	III, IV, V
20	იოსებ სარჯველაძე		სტუ-ის აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	III, IV, V
21	მურმან ბაქრაძე		"მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V
22	მანანა ცინცაძე		„მეცხოველეობის“ მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	III, IV, V
23	გრიგორ ხოფერია		პროფესორი	III, IV, V
24	ლეილა ქრისტესიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	III, IV, V
25	თინათინ დათიაშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის	III, IV, V

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ადრიან ჯონ ჩაპლინ ჰედლენდი (Adrian John Chaplin Hadland)	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	მაგდა მემანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ნინო მახვილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მაირი გრეი ბროუნინგ სკოტი (Mairi Gray Browning Scott)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
7	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
8	თინათინ გოგნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
9	ლაშა დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
10	დავით მაკასარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
11	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
12	ნინო მილაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
13	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე, გადაამოწმა საბჭოს მოწვეული წევრების კვორუმი და დაადგინა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოს მოწვეული წევრების ¾ ესწრებოდა სხდომას.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" "მასობრივი კომუნიაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის(60 დღიანი) საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის(60 დღიანი) საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" "მასობრივი კომუნიაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის (სწავლის სფეროების შედეგების განხილვა; (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

1.პირველი საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ.N2, ქ. თბილისი; 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უცხოელი ექსპერტი მაირი სკოტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტთან შეხვედრა ნაყოფიერად წარიმართა. მან განაცხადა, რომ პროგრამა განვითარების გზას ადგას, რომელიც ჯანდაცვის სექტორს წარმატებას მოუტანს. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია, რომელიც რამდენიმე წელია ხორციელდება. გარდა ამისა, დაწესებულება ახორციელებს ინგლისური ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო

პროგრამას. აღნიშნული აკრედიტაციის პროცესი უნივერსიტეტს მისცემს შანს, რომ დაინახოს განვითარების გზები ორივე პროგრამის განვითარების მიზნით. მაირი სკოტის თქმით, ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული 5 რეკომენდაცია ეხება მე-4 სტანდარტს და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში კარგად ჩანს მათი მზაობა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ პროგრამაზე იქნება სტუდენტთა მიღების დიდი რაოდენობა და პრობლემას შეუქმნის ფაკულტეტის სტაფის გაფართოებას. მისი მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს „ბიზნეს უწყვეტობის გეგმა“, იგი ყველა ფაქტორს ვერ გაითვალისწინებს, განსაკუთრებით გარე/ექსტერნალურ ფაქტორებს. მან განაცხადა, რომ პროგრამა მნიშვნელოვან და მდიდარ გამოცდილებას მისცემს სტუდენტებს, კერძოდ ინტეგრირებული კურიკულუმის თვალსაზრისით, რომელიც დაწესებულებას დაეხმარება სტუდენტების კლინიკებში განაწილებისათვის. უნივერსიტეტის თანამშრომლობა კლინიკა „ევექსთან“ უზრუნველყოფს როგორც კურიკულუმის, ისე კლინიკური სწავლების უწყვეტ შენარჩუნებას. გარდა ამისა, ხელს შეუწყობს კლინიკური კვლევების დაჩქარებას, რომელშიც ჩართული იქნებიან სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. ასევე, მან დაამატა, რომ ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მხრივ გაიცა რჩევები, კერძოდ ERASMUS+ გაუმჯობესების მიზნით, რომელთა შესრულება დაწესებულებას დაეხმარება პროგრამის წარმატებულად განხორციელებაში. მისასალმებელი იქნება თუ უნივერსიტეტი უფროსკურსელ სტუდენტებს მიაღებინებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას დამხმარე ასისტენტის სტატუსით, რათა მოტივაცია მიეცეთ მომავალში აკადემიური კარიერის გაგრძელებისა. დაწესებულებაში შექმნილია „პროგრამის განვითარების კომიტეტი“, თუმცა არ არის გაწერილი რა როლი და უფლებამოსილება აქვს სტაფის წევრს ამ კომიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ალავიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის პირადი საქმეების გადახედვას, რომელსაც უნივერსიტეტი იზიარებს. მან აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსებისა და კაპიტალის მართვის შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ კიდევ ერთხელ გადაიხედა პერსონალის პირადი საქმეები, იდენტიფიცირება მოხდა იმ პერსონალის, რომელსაც „CV“-ში უდასტურდებოდა კლინიკური შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები. უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით ექსპერტებს გაუზიარა აღნიშნული ცნობები. გარდა ამისა, ექსპერტთა მიერ დასკვნაში აღინიშნა ისეთი ჩანაწერი, როდესაც ერთ-ერთ აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა დიპლომირებული მედიკოსის წოდება პროგრამაზე მიღების დროს. ნინო ალავიძემ დასკვნაში მოცემულ ჩანაწერთან დაკავშირებით განმარტა, რომ ლექტორის ჰქონდა გასაახლებელი „CV“, რომელიც იდენტიფიცირდა და ვიზიტის დროს, ცენტრის მეშვეობით განახლებული „CV“ მიეწოდა ექსპერტებს, რომელშიც მიეთითა ინფორმაცია მის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შესახებ. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რჩევა, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსების გამიჯვნას, კერძოდ რომელ კურსს წაიკითხავდა კვალიფიციური ექიმი და მედდა. ნინო ალავიძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად რეგულარულად პერსონალის განახლებას, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ისედაც ითვალისწინებს ამ საკითხს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. შინაარსობრივად ეს არის რჩევა და არა რეკომენდაცია იმიტომ, რომ ინგლისური ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021 წელს დაწესებულებას ჰყავდა 67 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, 2022 წელს ფიქსირდება 119, ხოლო 2023 წელს 169. როდესაც ქართულენოვანი ,,მედიცინის"

ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განცხადება წარმოადგინა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა იყო 84, ხოლო დღეს მათი რაოდენობაა 89. ამ ეტაპზე სტუდენტების რაოდენობასთან ერთად იზრდება ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობაც. თუ მენეჯერის რაოდენობა 2022 წელს იყო ორი, დღეს არის ოთხი. ნინო ალავიძემ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადახედვასა და მათ შესაბამისობაში მოყვანას უმაღლეს სამედიცინო განათლების მახასიათებელთან, განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. ამჟამად უნივერსიტეტს 9 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 40 კლინიკასთან. ეს ხელშეკრულებები დანართების სახით ითვალისწინებს კონკრეტულ სასწავლო კურსს, კრედიტების და სტუდენტების რაოდენობას სემესტრების მითითებით, თუმცა მასში ახლო მომავალში აისახება პერსონალის ინფორმაცია და ნაკადების გამტარუნარიანობა. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ქართულენოვან და ინგლისურენოვან ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში და ხელშეკრულებებში სტუდენტების მიღების რაოდენობის დაკონკრეტებას კლინიკებში, აღნიშნა, რომ ახლო მომავალში მოცემულ რეკომენდაციას დაწესებულება გაითვალისწინებს და სტუდენტების მიღების რაოდენობა კლინიკებში დაკონკრეტდება როგორც პროგრამაში, ისე ხელშეკრულებებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჩახნაშვილმა აკადემიური პერსონალის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გაუზიარა Excel-ის დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ინგლისური ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტს ეყოლება 300 სტუდენტი, ხოლო ქართულენოვან პროგრამაზე კი 90 სტუდენტი. ასევე, დაგეგმილია ჯგუფების რეგისტრაციის გახსნა საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა ჯგუფში 10 სტუდენტზე მეტი რაოდენობის არ იქნება. გარდა ამისა, დადგენილია აკადემიური პოზიციის მიხედვით ლექტორების სამუშაო საათების ლიმიტი. ლაბორატორიული მეცადინეობა და მათი წესი რა საჭიროებით უნდა ჩატარდეს განსაზღვრულია ამ დოკუმენტით. უნივერსიტეტის „ბიოქიმიური ლაბორატორია“ 1400 სტუდენტზე არის გათვლილი იმ დაგეგმვით, რა დაგეგმვითაც გახდება საჭირო. ერთი ლაბორატორიული მეცადინეობა გრძელდება 1 საათი. პროგრამით გათვალისწინებულია 620 საათი ე.ი. 54 დღით არის დატვირთული „ბიოქიმიური ლაბორატორია“. გარდა ამ ლაბორატორიისა სტუდენტი პრაქტიკულ სწავლებას გადის „მეგალაბის ლაბორატორიაში“, რომელიც უზრუნველყოფილია დიდი რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ ქართულენოვან „მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 90 სტუდენტთა მიღების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ საბჭოს წევრებისათვის იმიტომ, რომ დასკვნაში არ არის ამის შესახებ საუბარი. უცხოელმა ექსპერტმა მაირი სკოტმა განაცხადა, რომ ექსპერტები ყურადღებით გაეცნენ დაწესებულების მიერ გაზიარებულ არგუმენტირებულ პოზიციას. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის არსებულ და არა დაგეგმილ სამომავლო ხედვებს. ექსპერტმა ლაშა დოლიძემ აღნიშნა, რომ Excel-ის დოკუმენტი, რომელიც ქეთევან ჩახნაშვილმა აკადემიური პერსონალის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გაუზიარა, დაწესებულებასთან გასაუბრებისას ექსპერტებისთვის ცნობილი არ იყო, თუმცა ამ დოკუმენტის საბჭოზე გაზიარებამ უფრო ნათელი გახადა პერსონალის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით ინფორმაცია ვიდრე ეს ვიზიტისას იყო. საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტებმა ვერ მოინახულეს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, რადგან დაკეტილი იყო. ცნობილია, რომ ეს ცენტრი არასდროს იკეტება და მუშაობს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. მას აინტერესებდა, რა გახდა იმის მიზეზი, რომ ექსპერტებმა ვერ მოინახულეს აღნიშნული ცენტრი. გარდა ამისა, ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, არის თუ არა საკმარისი

რაოდენობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის განსახორციელებლად. ასევე, არის თუ არა სავალდებულო მედიცინის დოქტორის ხარისხი ძირითადი პერსონალის მისაღებად პროგრამაზე და რას აკეთებს უნივერსიტეტი იმისათვის, რომ მოახდინოს პერსონალის განვითარება და მომზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ჩახნაშვილმა ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის მონახულებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ცენტრში ვიზიტი იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ საღამოს საათები იყო, კერძოდ 6 – 7 საათი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის პედაგოგი, ნინო ნანეიშვილი რომელიც მუშაობს ამ დაწესებულებაში დამთავრებული ჰქონდა სამუშაო საათები, რომელმაც უნივერსიტეტსა და ექსპერტებს განუცხადა, რომ ამ დროს ვიზიტი შეუძლებელი იქნებოდა და ვერ გაუწევდა დახმარებას. ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ შიდა სტუდენტთა და პერსონალის გათვლის კონტინგენტის მეთოდოლოგიის საფუძველზე 1.15-ით არის დადგენილი აკადემიური პერსონალის შეფასების სტანდარტი. ამ ეტაპზე არსებული 29 აკადემიური პერსონალით შესაძლებელია 425 სტუდენტის დაფარვა. შიდა სტუდენტთა და პერსონალის გათვლის კონტინგენტის მეთოდოლოგიის საფუძველზე 1.75-ით კი არის დადგენილი მოწვეული პერსონალის შეფასების სტანდარტი და ამ ეტაპზე პროგრამაზე მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 60, ხოლო 1.40-ით არის დადგენილი ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სტანდარტი და მათი რაოდენობა შეადგენს 67. მისი თქმით, სავალდებულოა მედიცინის დოქტორის ხარისხი ძირითადი პერსონალის მისაღებად პროგრამაზე. ნინო ნანეიშვილმა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პერსონალის განვითარების გეგმა. თითოეულ პედაგოგს გავლილი აქვს სხვადასხვა დაწესებულებაში მათთვის საჭირო ტრენინგი, თუმცა დაწყებულია „თიუთის“ საბაზისო ტრენინგით როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით პერსონალის გადამზადება. ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ექიმების გუნდი აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. საბჭოს წევრმა, მარინე გელანტიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა უნივერსიტეტს კლინიკა „ევექსის“ გარდა სხვა კლინიკებთან თანამშრომლობა. ნინო ნანეიშვილმა უპასუხა, რომ „ევექსის“ გარდა დაწესებულებას ურთიერთობა აქვს ინფექციურ სნეულებათა ცენტრთან, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრთან და კანისა და ვენსნეულებათა ეროვნულ დეპარტამენტთან. ამ პროცესში ჩართულია თითოეული ცენტრის წარმომადგენელი, რომელთა მზაობა ორმხრივი თანამშრომლობისა დიდია. საბჭოს წევრმა თამარ ვალიშვილმა კითხა დაწესებულებას, რამდენი აფილირებული აკადემიური პერსონალი ჰყავს პროგრამას. გარდა ამისა, მან კითხვა დაუსვა ექსპერტებს და აინტერესებდა, რამდენად მზად არის ქართულენოვანი პროგრამა განსახორციელებლად. მისი თქმით, პროგრამაზე არსებობს პერსონალის ნაკლებობა, რომელიც სტუდენტთა დიდ ნაკადს ვერ უზრუნველყოფს. მას აინტერესებდა, ეს რისკი არის თუ არა რეალური. ნინო ალავიძემ აფილირებული პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაზე 12 აფილირებული პერსონალია. საბჭოს წევრმა თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში აფილირებული პერსონალის რაოდენობა განსხვავებულია, კერძოდ 3 ასოცირებული და ერთი ასისტენტ პროფესორი წერია. უცხოელმა ექსპერტმა მაირი სკოტმა განაცხადა, რომ პრობლემა იკვეთებოდა არსებულ გეგმაში, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა, კერძოდ პერსონალის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებით. პრობლემა ამ საკითხთან დაკავშირებით დადგება არა ახლა, არამედ მაშინ როდესაც კლინიკურ საფეხურზე გადავა სწავლება. ექსპერტმა თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ საბაზისო საგნების სწავლებაში არ იკვეთება პრობლემა. პრობლემა მდგომარეობს მხოლოდ კლინიკურ საგნების შესწავლაში. მოთხოვნა იყო, რომ უნივერსიტეტს დეტალურად გაეწერა, თუ რამდენი სტუდენტი მივიდოდა კლინიკაში, რომელ კლინიკაში განახორციელებდა აკადემიური პერსონალი მუშაობას და რა დატვირთვით. სხვა მხრივ ორივე, როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი პროგრამა მზად არის პროგრამის განხორციელებისთვის. ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა პროგრამის ხელმძღვანელს ეკა აბჟანდაძეს. მან განაცხადა,

რომ პროგრამის ხელმძღვანელს დაცული აქვს მაგისტრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად დისერტაცია ინგლისში, „შეფილდის უნივერსიტეტში“, თუმცა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ „CV“-ში არ ჩანს პროგრამის ხელმძღვანელს აქვს თუ არა მინიჭებული დოქტორის კვალიფიკაცია. ეკა აბჟანდაძემ განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნა პროფესიული ნიშნით და არა „PHD” ხარისხის დაცვის საფუძველზე. საბჭოს წევრმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სად ახორციელებს საბაზისო სწავლებას უნივერსიტეტი. ქეთევან ჩახნაშვილმა უპასუხა, რომ საბაზისო სწავლება 4 სემესტრი მიმდინარეობს დაწესებულების ძირითად კამპუსში, რომელშიც მოწყობილია სიმულაციური ლაბორატორიები კლინიკური უნარებისთვის და ბიოქიმიური და ფიზიოლოგიის ლაბორატორია. პრეკლინიკურ და საბაზისო სწავლების ნაწილში ისწავლება საგანი „ექიმი და პაციენტი“, რომელსაც გარდა ამ ლაბორატორიებისა სტუდენტები სწავლებას გადიან „მეგალაბში“. ეკა აბჟანდაძემ პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზად არის, რომ განახორციელოს სრულად როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი პროგრამა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ევექსის კლინიკასთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საკადრო რესურსი მოძიებას. საბჭოს წევრმა გივი ჯავაშვილმა განაცხადა, რომ ,,მედიცინის" პროგრამაზე დიდი გამოწვევაა ქართულენოვანი ლიტერატურის არსებობა. რამდენიმე სილაბუსში მითითებულია ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი წყაროები. სასწავლო საგანში, „სიცოცხლის ბოლოში“ საუბარია მომაკვდავ პაციენტზე და გადაწყვეტილების მიღებაზე, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი საკითხების ცოდნას, თუმცა არსად არ არის ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი კანონი როგორიცაა „პაციენტის უფლებების შესახებ კანონი“. ქვეყანაში ვერ დაიწყებს მუშაობას და სწავლას ვერ გააგრძელებს კურსდამთავრებული რეზიდენტურაში, რომელსაც არ ეცოდინება ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციები. გარდა ამისა, ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში მითითებულია ამერიკული და არა ევროპული. ეკა აბჟანდაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც მუდმივ რეჟიმში განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც პროგრამის განვითარებისთვის არის საჭირო. გათვალისწინებული იქნება ის საკითხი, რომ სილაბუსებში ასახული იყოს ის კანონები, რომლებიც საჭიროა „მედიცინის“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:55
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ალტე უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 32
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან.
2. სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადახედოს, რამდენად ჰყავს საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული) სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად.
3. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს და შესაბამისობაში მოიყვანოს უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივ მახასიათებელთან, რათა დარწმუნდეს, რომ მათში შეტანილია ყველა აუცილებელი ელემენტი (სასწავლო კურსების სია, სტუდენტთა წლიური რაოდენობა, ნაკადების განსაზღვრა).
4. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაზარდოს რესურსები; სიმულაციის ცენტრის ოთახების რაოდენობა, პრაქტიკის დაწესებულების, ლაბორატორიული ოთახების რაოდენობა და ასევე თითოეული საბაზისო/კლინიკური კურსის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რათა დაწესებულებას ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა რომ განახორციელოს აღნიშნული პროგრამა მაქსიმუმ 90 მისაღებ სტუდენტზე ყოველწლიურად, რაც დაემატება უკვე არსებული ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის 300 სტუდენტს ყოველწლიურად.
5. რეკომენდებულია კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება ყველა განმახორციელებელ კლინიკასთან დიპლომირებული მედიკოსის (ქართული) პროგრამის დანერგვისთვის.

რჩევები:

1. გაიზარდოს პარტნიორობა უცხოურ ინსტიტუტებთან, უსდ-მ კონტრაქტით დაიქირაოს მოწვეული მასწავლებლები (პროფესორები, ლექტორები), რომლებიც ელექტრონული სწავლების, ვებინარებისა თუ პირისპირ შეხვედრების მეშვეობით, დამატებითი ექსპერტიზით შეიტანენ წვლილს სწავლების პროცესში.
2. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სამეცნიერო კვლევითი მიმართულება ცოტა ხნის წინ განახლდა, უნივერსიტეტი უნდა დაფიქრდეს კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევას შორის ურთიერთობებს. ამის შეტანა შესაძლებელია სამეცნიერო სტრატეგიაში.
3. სასწავლო გეგმა ამჟამად აღწერილია, როგორც „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ და იმის გათვალისწინებით, რომ ალტე უნივერსიტეტს სურს სამუშაოსთვის შესაბამისი, კარგად გაწვრთნილი კურსდამთავრებული მედიკოსების გამოშვება და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ორი ახალი სამედიცინო პროგრამა აქვს განხორციელების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზე, შესაძლებელია, რომ მოიძებნოს გზები იმისათვის, რომ

სასწავლო გეგმა გახდეს უფრო სრულყოფილად ინტეგრირებული ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებთან.

4. მართალია შეფასების დაგეგმილი განრიგი (ყოველწლიური შეფასება, მეორე ეტაპის დასასრულს სამივე წლის კოლექტიური განხილვით) კარგი პრაქტიკაა, თუმცა შესაძლებელია იმაზე დაფიქრებაც, რომ განხორციელდეს საბაზისო ეტაპის „შუალედური“ კოლექტიური განხილვა 2 წლის ბოლოს, იმისათვის რომ საჭირო ცვლილებები შევიდეს პრე-კლინიკურ ეტაპზე გადასვლამდე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე მოხდეს რეაგირება იქამდე, ვიდრე სტუდენტები დაიწყებენ კლინიკურ ეტაპს, სადაც უკვე ჯგუფებში იმუშავებენ და ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნებიან კამპუსში მყოფი პედაგოგებისთვის.
5. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა შესაძლებლობები ისეთი პორტფოლიოს შესაქმნელად, რომელიც აკმაყოფილებს ალტე უნივერსიტეტის კურიკულუმისა და სტუდენტების საჭიროებებს ინტეგრირებულ პროგრამაზე, სასურველი იქნება თუკი შეიქმნება „საპილოტე პორტფოლიო“ სხვა უსდ-ების მაგალითების საფუძველზე, რომელზეც ალტეს აქვს წვდომა. იმის ნაცვლად, რომ უსდ დაელოდოს როდის შემუშავდება სპეციალურად ალტეზე მორგებული პორტფოლიო, უფრო ეფექტური იქნება, თუკი იქამდე გამოცდის სხვადასხვა ტიპის პორტფოლიოებს ახლანდელი სტუდენტებისთვის, კურიკულუმის განხორციელების ამ ადრეულ ეტაპზე და პორტფოლიოს საბოლოო დიზაინს დააფუძნებს სწორედ ამ შედეგებზე.
6. სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა გამოავლინოს, განსაზღვროს და შეათანხმოს კვლევის ის სფეროები, რომელზეც ყურადღებას გაამახვილებს საერთაშორისო დონეზე. ეს შესაძლებელს გახდის, რომ რესურსები ორიენტირებული იყოს პრიორიტეტულ მიმართულებებზე; გარდა ამისა ამგვარად უსდ სტუდენტებს დაეხმარება განივითარონ კვლევითი უნარები, მაღალხარისხიანი კვლევის გამოცდილებით.
7. სასურველია განახლდეს ქართულენოვანი ლიტერატურა
8. სასურველია, რომ მეტი მოქნილობისთვის, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები დაემატოს პროგრამას წინაპირობის სახით.
9. კლინიკებში სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამის III ფაზის კლინიკურ საგნებში პროგრამას დაემატოს დღის/საღამოს ცვლებში მორიგეობა. სილაბუსში მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი მორიგეობის კრიტერიუმები.
10. მიზანშეწონილია OSCE/OSPE სადგურების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა სილაბუსების შინაარსთან.
11. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს ERASMUS-ის და სხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შემდგომი გაღრმავება სტუდენტური გამოცდილების და აკადემიური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.
12. გამორჩეული სტუდენტების სასწავლო ასისტენტებად დაქირავების პრაქტიკა არის სტრატეგიული ინიციატივა, რომელიც აუმჯობესებს უნივერსიტეტის სასწავლოს შესაძლებლობებს და ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა უკეთ დანერგოს ეს სასარგებლო პრაქტიკა. მასწავლებლის ასისტენტობის შესაძლებლობების გაფართოება და დისციპლინათა ფართო სპექტრის შემოტანა, ისევე როგორც ხელმისაწვდომი როლების რაოდენობის გაზრდა, უფრო მეტ სტუდენტს შესძენს ღირებულ გამოცდილებას. გარდა ამისა, სტრუქტურირებული მენტორობის კომპონენტის შემოტანა, ანუ როდესაც ფაკულტეტის წევრები ხელმძღვანელობას უწევენ სასწავლო ასისტენტებს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს პროფესიულ განვითარებას.
13. სასურველია პროგრამას ყავდეს დოქტორის ხარისხის მქონე თანახემლძღვანელი

14. იქ სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ისწავლებოდეს ჯანდაცვის სხვა პროფესიონალების მიერ და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
15. სასურველია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრობლემაში მონაწილე ყველა უცხოელი ლექტორი მიიღებს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ B2 დონის სერტიფიკატს, მათ შეეწყოთ ხელი ქართულ ენაზე კომუნიკაციისას იყვნენ თავდაჯერებულნი.
16. ადმინისტრაციული სირთულის შესამცირებლად, რჩევაა რომ თითო ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყოს 10 და არა ორ 10 კაციან ჯგუფად დაყოფილი - 20.
17. სასურველია მმართველობის სტრუქტურის დოკუმენტაცია მოიცავდეს დამატებით დეტალებს, რათა უკეთ განისაზღვროს სხვადასხვა ქვე-ჯგუფების უფლებამოსილება, მაგალითად პროგრამის შემუშავების კომისიის და მასში ჩართულთა წარმომადგენლობითი როლი.
18. ალტე უნივერსიტეტმა უმჯობესია გადახედოს იმ გადაწყვეტილებას, რომ უფლება მისცეს ყველა დაინტერესებულ პირს გახდეს პროგრამის შემუშავების კომისიის წევრი და მოახდინოს ამის რესტრუქტურიზაცია ისე, რომ წარმომადგენლობითი წევრობა დაეფუძნოს პერსონალის როლებს.
19. სასურველია, რომ ხარისხის მართვისა და შესაბამისობის განყოფილებამ განაგრძოს ჩართულობა პორტფოლიოს შემუშავების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს, რომ პორტფოლიოს ფარგლებში შეგროვებული მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ისე, რომ მოხდეს პროგრამის მონიტორინგისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა.
20. დამსაქმებლებთან არსებული კომუნიკაციების გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ალტე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ შესაბამის კლინიკებში ექიმებთან კომუნიკაციების გარდა, ისინი ასევე მჭიდრო კომუნიკაციაში იქნებიან მმართველ რგოლთან. ეს დაეხმარება უსდ-ს დამატებითი ლოჯისტიკის უზრუნველყოფაში მაშინ, როდესაც სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება.
21. სასურველია, რომ ალტე უნივერსიტეტმა იფიქროს დამატებით ინოვაციურ გზებზე, უკუკავშირისთვის განკუთვნილი კითხვარების გარდა, რითაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განვითარებაში წვლილის შეტანას.
22. ამჟამინდელი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შედარებისთვის ინტეგრაციის სხვადასხვა დონის მქონე სამი დაწესებულების გამოვლენას არის ძალიან ხელსაყრელი და ეფექტურად ეხმარება პროგრამის განვითარებას, თუმცა სამომავლოდ, დამატებითი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი თუკი ერთი, უფრო სრულად ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მაგალითის დეტალური განხილვა განხორციელდება, ახალი საერთაშორისო პარტნიორი დაწესებულების ჩართულობით.
23. მიზანშეწონილია, რომ ალტე უნივერსიტეტმა გაარძელოს მიდგომის შენარჩუნება ბაზრის კვლევის რეგულარულად ჩატარების კუთხით, რათა უზრუნველყოს პროგრამის განვითარება ისე, რომ დააკმაყოფილოს დამსაქმებლების და საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის საჭიროებები.
24. ალტე უნივერსიტეტისთვის შესაძლოა ხელსაყრელი აღოჩნდეს, თუკი შეიმუშავებს პროგრამისთვის სპეციფიურ ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტს, რომელსაც განახორციელებს მისი ამჟამინდელი ეფექტური მიდგომის პარალელურად, რომელიც ვრცელდება მთელს უნივერსიტეტში. სპეციალურად პროგრამისთვის მოქმედი პარალელური ელემენტის არსებობა შესაძლოა დაეხმაროს უსდ-ს, დამატებითი პრობლემების გადაჭრაში, კერძოდ ისეთების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სტუდენტთა რაოდენობისა და კლინიკური სწავლების მასშტაბის გამო. ამ სამუშაოს გაუმჯობესება შესაძლებელია, თუკი ეს მოხდეა ევექსის ჯგუფთან თანამშრომლობით.

საბჭოს სხდომა დატოვეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წ ევრებმა.

2.მეორე საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 29 ივლისის N858757 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უცხოელი ექსპერტი ადრიან ჰადლენდი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ რეჟიმში. დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა დოკუმენტი, რომელიც გამოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა და განვითარების გეგმა, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა მიღწევადია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნათია გოცაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ ექსპერტების მიერ გაიცა საინტერესო რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც პროგრამას გახდის უფრო უკეთესს. უნივერსიტეტს წინასწარ არგუმენტირებული პოზიცია არ წარმოუდგენია გარკვეული მიზეზების გამო და გადაწყვიტა თითოეულ რეკომენდაციაზე კომენტარის გაკეთება აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. პროგრამა ერთი აკადემიური წელია რაც ფუნქციონირებს. თვითშეფასების დოკუმენტი და ის მასალები, რომლებიც მიეწოდათ ექსპერტებს 6 თვის თავზე შემუშავდა დაწესებულების მიერ. მარიამ დარბაიძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიღების წინაპირობებში ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნების ჩამატებას, განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზი გამოსწორებულია და პროგრამის მიღების წინაპირობებში ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნები დამატებულია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ქართული ენის გამოცდის ჩაბარების პროცედურების აღწერას ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და მათ გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რომელიც უნივერსიტეტმა ვერ გაიგო, რას გულისხმობენ ექსპერტები. გადაიხედა თვითშეფასებისა და პროგრამის მიღების წინაპირობები, თუმცა კარგი იქნება ექსპერტების მიერ კიდევ ერთხელ დაზუსტდეს აღნიშნული რეკომენდაციის შინაარსი. მარიამ დარბაიძემ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კლასიფიცირებას ინსტიტუციურ განვითარებაში და პროგრამის დამსაქმებლებთან კომუნიკაციაში არსებული მემორანდუმების, განაცხადა, რომ ცენტრში გაგზავნილ საქაღალდეს, კერძოდ თვითშეფასების დოკუმენტს თან აქვს დართული ყველა ის მემორანდუმი, რომელიც ემსახურება დამსაქმებელთან კომუნიკაციას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ცალკე კლასიფიცირებული ყველა მემორანდუმი, თუმცა ეს არ იყო მოთხოვნა ექსპერტთა მიერ. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის გადატანას მე-7 ან მე-8 სემესტრში. აღნიშნული რეკომენდაცია განხილული იქნა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად. სასწავლო კომპონენტები, როგორიც არის

საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა სტუდენტმა უნდა გაიაროს მას შემდეგ, როცა ის გაივლის ძირითადი სასწავლო კურსის ყველა სავალდებულო კურსს. შესაბამისად, მე-7 ან მე-8 სემესტრში პრაქტიკის გადატანა დაარღვევდა ძირითადი სასწავლო კურსის ყველა სავალდებულო კურსის შესწავლას. პროგრამის ხელმძღვანელმა თამთა ჰაგერმა განაცხადა, რომ თითოეულ სემესტრში 30 კრედიტის ათვისება უწევს სტუდენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ასრულებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ერთვებიან მცირე კვლევებში და ასრულებენ საშინაო დავალებებს. შესაბამისად, ასეთი დატვირთვის პარალელურად პრაქტიკის კურსის გავლა არ იქნება ეფექტური. გარდა ამისა, ისინი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევენ თავიანთი მიზნისა და ინტერესის შესაბამისად. ისეთ პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართვა, რომელიც პარალელურად შეიძლება იყოს მათ საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული, იქნება უფრო შედეგზე გამყვანი. პრაქტიკა ხორციელდება შემდეგნაირად: სტუდენტს ენიშნება მენტორი, რომლის დახმარებითაც ის აწარმოებს პრაქტიკის დღიურს. წინა სემესტრში დაგროვილი თეორიული ცოდნით სტუდენტი გამოიმუშავებს ტრანსფერულ უნარებს, დაეხმარება თვითრეფლექსიაში და პრაქტიკის დღიურის სრულყოფილად შევსებაში. სტუდენტს აღარ გაუჭირდება იდენტიფიცირება სამოქმედო გეგმის გაწერისა და საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების. მარიამ დარბაიძემ მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა 6 თვის შემდეგ განცხადებით მიმართ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს რეაკრედიტაციის მიზნით. დაწესებულებაში ანგარიშის შედგენის და მასში ცვლილებების შეტანის წესი დადგენილია. ამჟამად პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები ასახულია როგორც ანგარიშში, ისე პროგრამის განმავითარებელ დოკუმენტებში. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ სპეციალური რეაგირების ან მოხსენების ფორმის შემუშავებას, რომელშიც აისახება რეკომენდაციების გაუმჯობესება, განაცხადა, რომ ეს არის ძალიან კარგი, თუმცა პროგრამის განმავითარებელ დოკუმენტებში ისედაც აისახება რეკომენდაციების შესრულების და გაუმჯობესების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, საჭირო არ არის დამატებით სპეციალური რეაგირების ან მოხსენების ფორმის შემუშავება. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკო ჯაოშვილმა მეხუთე და მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გადაიხედა სწავლების შეფასება. სწავლა სწავლების მეთოდს, კერძოდ „წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას“, უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ეს იყოს დამატებული ერთ-ერთი მიდგომა სწავლების, თუმცა ყველა ლექტორს აქვს თავისუფალი აკადემიური არჩევანის უფლება და ისინი თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას რომელი მეთოდით მოახდინონ სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას შრომის ბაზრის დოკუმენტთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ამ დოკუმენტში ერთ-ერთი ბლოკი ეთმობა „განათლების ბაზრის ანალიზს“, რომელშიც მოცემულია ყელა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით. მას აინტერესებდა, რომელ უსდ-ში ხორციელდება მსგავსი პროგრამები. ამის შესახებ ინფორმაციას ეს დოკუმენტი არ იძლევა. გარდა ამისა, მონაწილეობდა თუ არა შრომის ბაზრის დოკუმენტის შედგენაში ეკონომისტი ვინაიდან და რადგანაც დოკუმენტი ისეა შედგენილი, რომელსაც არ ცნობს ეკონომიკის თეორია და პრაქტიკა. მაგალითად, „საწარმოთა გარდაცვალება“, „საწარმოთა დაბადება“. ასევე, პროგრამის ამოქმედების წელს უნივერსიტეტს ჰქონდა მიზნობრივი მაჩვენებელი 40 სტუდენტის მიღებისა. 11 ჩაირიცხა ეროვნული გამოცდების შედეგად, ხოლო 7 გარე მობილობით, თუმცა დარჩა ვაკანტური ადგილები. მას აინტერესებდა, თუ არ შეივსება გამოცხადებული კონტინგენტი, პროგრამა იქნება თუ არა ფინანსურად მდგრადი. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ამ დოკუმენტში იმიტომ არ არის შეყვანილი კონკურენტული უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტთა რაოდენობა რომ მსგავსი ტიპის ინფორმაცია მოცემულია „ბენჩმარკის

დოკუმენტში“, რომელიც ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაა კონკურენციის კუთხით ბაზარზე. შრომის ბაზრის დოკუმენტში დეტალურად არის მოცემული ბაზრის მდგომარეობა. შრომის ბაზრის დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია ეკონომისტს ვინაიდან და რადგანაც ეს დოკუმენტი ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს. „საწარმოთა გარდაცვალება“ და „საწარმოთა დაბადება“ არის ის ტერმინები, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშებიდან არის ამოღებული. „მასკომის“ მიმართულებით ზოგადი ინფორმაცია რაოდენობრივი, თვისობრივი კვლევა, გაღრმავებული ინტერვიუები, საწარმოს წარმომადგენლებთან შეხვედრა ემსახურებოდა არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, არამედ დასაქმების ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რათა კურსდამთავრებული 5 – 7 პერსპექტივაში მიიღოს დამსაქმებელმა. გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი "ალტერბრიჯი“ არის ახალი უნივერსიტეტი, რომელიც 3 წელია ფუნქციონირებს. დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას არ განაპირობებს სტუდენტებისგან შემოსული თანხა იმიტომ, რომ უნივერსიტეტს აქვს რამდენიმე შემოსავლის წყარო. მაგალითად, პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანი თანხა, 3 მილიონიანი საკრედიტო ხაზი და ა.შ. შესაბამისად, სტუდენტებისგან შემოსული თანხა არ არის გარანტი პროგრამის მდგრადობისა. საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ ერთ-ერთი რჩევა, რომელიც ატარებს რეკომენდაციის სახე ამბობს შემდეგს: „უნივერსიტეტმა პროაქტიულად უნდა განაგრძოს აღჭურვილობის შეძენა“. დაწესებულებას აქვს ერთი ვიდეო კამერა, ოთხი ფოტო კამერა და 3 სამონტაჟო კომპიუტერი. მას აინტერესებდა, არის თუ არა საკმარისი პროგრამის განსახორციელებლად ის ტექნიკა, რომელიც უნივერსიტეტს აქვს. რამდენიმე სილაბუსში ლიტერატურის სახით მითითებულია "რიდერები" და "ჰენდაუტები". რამდენად ხარისხიანია ლექტორის მიერ დამზადებული "ჰენდაუტები" და "რიდერები" იმისათვის, რომ სტუდენტი გავიდეს შედეგზე. გარდა ამისა, სასწავლო კურსში „კინოდოკუმენტალისტიკაში“ მისაღებია თუ არა ძირითად ლიტერატურად სამეცნიერო სტატიების გამოყენება. ასევე, არის თუ არა საკმარისი მემორანდუმები იმისთვის, რომ დაიფაროს პრაქტიკა. ექსპერტმა ნინო მახვილაძემ ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ტექნიკური საგნები მოითხოვს ტექნიკის გამოყენებას. დაწესებულებას ბიუჯეტში აქვს გამოყოფილი თანხა მატერიალური რესურსის შესაძენად წელს. ეს რჩევის სახით იმიტომ გაიცა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს მატერიალური რესურსის შეძენას. "რიდერებსა" და "ჰენდაუტებთან" დაკავშირებით აღნიშნა, რომ შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა რამდენიმე "რიდერებისა" და "ჰენდაუტების" არსებობა. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა განაცხადა, რომ ყველა "რიდერებისა" და "ჰენდაუთების" ხარისხის შემოწმება ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ უნივერსიტეტში იყო ინტერნეტის პრობლემა, თუმცა ყველა სასწავლო საგანს თანდართული ჰქონდა ლიტერატურა, რომელთა ნაწილი ბიბლიოთეკაში იყო ნაბეჭდი ვერსიის სახით. შესაბამისად, პრობლემა მათ ხარისხთან დაკავშირებით არ ყოფილა. დაწესებულებას აქვს ბევრი მემორანდუმი გაფორმებული სხვადასხვა უწყებებთან, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის. მემორანდუმებით გათვალისწინებული სტუდენტთა ადგილები როგორიცაა 3, 5, და 7 ადგილი არ წარმოადგენს პრობლემას იმიტომ, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 25 სტუდენტი. თუ გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობა, მემორანდუმებში მითითებული სტაჟირების ადგილები არის სრულად საკმარისი. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციები ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი. დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ის რეკომენდაციები, რომლებიც წინა ექსპერტების მიერ იყო გაცემული. პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრულია ის თანხა, რომელიც სამომავლოდ მატერიალური ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის არის საჭირო. დღეს საკმარისი რაოდენობის ტექნიკა აქვს უნივერსიტეტს, რათა წარმატებით განახორციელოს პროგრამა. საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რჩევა

ეხებოდა აკადემიური პერსონალის მიერ მასობრივი კომუნიკაციის, ციფრული მედიის და ჟურნალისტიკის თანამედროვე კვლევების გაცნობის აუცილებლობას. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვა ასეთი რჩევის გაცემა. გარდა ამისა, ატარებს თუ არა რეკომენდაციის სახეს უნივერსიტეტის მიმართ გაცემული შემდეგი რჩევა: „გადაიხედოს რამდენიმე მოდული, რომელიც მეტ-ნაკლებად არის რელევანტური მასობრივ კომუნიკაციასთან“. გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ პირველკურსელი სტუდენტი ერთვება ისეთ აქტივობაში როგორიცაა სასწავლო ექსპედიცია, სამეცნიერო კონფერენცია და ა.შ. მას აინტერესებდა, რა სახის აქტივობებში იღებს სტუდენტი მონაწილეობას. დაწესებულება თვითშეფასებაში საუბრობს საერთაშორისო გარე ექსპერტების შეფასებაზე, თუმცა არ აღნიშნავს თუ ვინ არიან საერთაშორისო გარე ექსპერტები და როგორია მათი შეფასება. უცხოელმა ექსპერტმა ადრიან ჰადლენდმა მასობრივი კომუნიკაციის, ციფრული მედიის და ჟურნალისტიკის თანამედროვე კვლევების გაცნობის აუცილებლობასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ეს რჩევა ასახავს მიმდინარე გლობალურ გამოწვევას და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და სტაფის წევრები მუდმივად მზადყოფნაში უნდა იყოს, რომ ამ გამოწვევას უპასუხოს. ისინი უნდა გაეცნონ უახლოეს მიღწევებსა და კვლევებს ამ დარგში. უნივერსიტეტს კი აქვს ამის მზაობა. ამ რჩევის გაცემის მიზეზი გახდა ის, რომ საერთაშორისო კვლევები არ ტარდება ქართულ ენაზე. პერსონალი ვალდებულია, რომ გაეცნოს უახლოეს მიღწევებსა და კვლევებს. დაწესებულება მუდმივად უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ უახლოესი ლიტერატურა და კვლევები დაინტეგრიროს სასწავლო სილაბუსებში და "რიდერებში", რათა სტუდენტს რეალურის შესაძლებლობა მიეცეს მათი გაცნობის. დაწესებულების წარმომადგენელმა თამთა ჰაგერმა განაცხადა, რომ ლექტორები მუდმივად ზრუნავენ სტუდენტების განვითარებაზე და ეცნობიან თანამედროვე კვლევებს, რომელსაც მოწმობს ბოლო 5 წლის განმავლობაში 317 სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან ჟურნალებში. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად ხელი მიუწვდებოდეს თანამედროვე “Online” ჟურნალებზე. უნივერსიტეტი ითვალისწინებს ამ რჩევას, თუმცა ამჟამად პროგრამა სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. თამთა ჰაგერმა საერთაშორისო გარე ექსპერტების შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა ერიკ ფრიდმანმა შეაფასა პროგრამა, რომელმაც გამოკვეთა პროგრამის ძლიერი მხარე, კერძოდ ის, რომ პროგრამა სრულად პასუხობს მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციას. პირველკურსელთა აქტივობებში ჩართვას დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება კონფერენციები. „ალტერსტუმარი“ არის ასეთი რუბრიკა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ როგორც ქართველი, ისე უცხოენოვანი დარგის ექსპერტები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, გეგმავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში. ექსპერტმა მაგდა მემარნიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მრავალფეროვანი ტრანსფერული უნარების განმავითარებელი აქტივობები, რომელიც არ იყო აღნიშნული თვითშეფასების ანგარიშში და მოთხოვნილი იქნა ტრანსფერული უნარების განმავითარებელი აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც უნივერსიტეტმა უმალვე წარმოადგინა. გურანდა ჭელიძემ დამაზუსტებელი შეკითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად არის დაკავშირებული ჩატარებული კვლევები "მასობრივ კომუნიკაციასთან", რადგან ისინი უფრო გარემოს დაცვაზეა ორიენტირებული. თამთა ჰაგერმა უპასუხა, რომ ჩატარებული კვლევები უკავშირდება არა გარემოს დაცვას, არამედ გარემოს დაცვით ჟურნალისტიკას. საბჭოს წევრმა თინათინ ჭაბუკიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას სასწავლო კურსის „ვიდეო გადაღებასა და ვიდეო მონტაჟის ხელოვნებასთან“ დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი „WEB DOC”-ს დამოუკიდებლად ამზადებს თუ არა. გარდა ამისა, საკმარისია თუ არა ეს 4 კრედიტიანი საგანი იმისათვის, რომ სტუდენტი გავიდეს შედეგზე. გარდა ამისა, ამ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა. თამთა ჰაგერმა უპასუხა, რომ ეს არის ერთი საგნის ორი სხვადასხვა მიმართულება, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად იმიტომ, რომ ერთი სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფდა შედეგზე გასვლას და ვერ დაფარავდა იმ ყველა თემას, რომელსაც

სჭირდებოდა ცალკე ნარატივის შექმნას და ცალკე ვიდეოს გადაღებას. შესაბამისად, შეიქმნა ორი განსხვავებული კურსი, რომელიც არის ერთმანეთთან დაკავშირებული, კერძოდ „ტელემედია“, რომელიც ნარატივის და სატელევიზიო ტექსტების შექმნას ასწავლის სტუდენტს და „ვიდეო გადაღება და მონტაჟი“, რომელიც ორიენტირებულია ტექნიკური მახასიათებლების გაცნობაზე. ამ სასწავლო კურსების გავლის შემდეგ სტუდენტი „WEB DOC”-ის დამზადებას დამოუკიდებლად შეძლებს. თინათინ ჭაბუკიანმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „კინოდოკუმენტალისტიკა“ არის 5- კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომელიც არ შეიცავს იმ კურსის შინაარს, რომელსაც უნდა შეიცავდეს. კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი სასწავლო კურსს შეუცვლის სახელწოდებას, რადგან სტუდენტი ვერ შეძლებს 5 კრედიტის განმავლობაში ამოწუროს კინოდოკუმენტალისტიკის შესახებ საკითხი. თამთა ჰაგერმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი გაითვალისწინებს პროგრამისათვის განმავითარებელ აღნიშნულ რჩევას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:57
დასრულების დრო: 18:00

აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ასევე, 1.5 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებების საფუძველზე პირველი სტანდარტის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ასევე, აკრედიტაციის საბჭომ 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2 წლის თავზე მონიტორინგის ვალდებულებით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2028 წლის 01 ივლისამდე 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია „პროფესიული პრაქტიკის“ კურსის მეშვიდე ან მეექვსე სემესტრში გადატანა;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა და შეივსოს სასწავლო მეთოდური-მასალებით.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს პრაქტიკის სილაბუსის სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება) და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის მიზანთან.
4. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსი "კინოდოკუმენდალისტიკა" მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან.
5. ინფორმაცია იმ სავალდებულო და არჩევით საგნებზე, რომლებიც აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მოცემული უნდა იყოს პროგრამაში, კერძოდ „საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების“ გრაფაში;
6. უსდ-მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმებს მედია ორგანიზაციებთან (ონლაინ მედია საშუალებები,, ტელევიზიები, რადიოები) და კერძო სტრუქტურებთან, რომელთა საჯარო ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები უზრუნველყოფენ შესაძლებლობებს სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისთვის. მემორანდუმების ერთი ნაწილი ყურადღებას უთმობს სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებას, ხოლო მეორე ნაწილი (მაგალითად კავკასიის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი) მხოლოდ ინსტიტუციურ თანამშრომლობას ითვალისწინებს. ეს მემორანდუმები მათი მიზნების გათვალისწინებით, პროგრამის მენეჯერების მიერ დალაგდეს კატეგორიების მიხედვით.
7. საგნების სილაბუსების ავტორებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ერთობლივად გადაიხედოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები და შეათანხმონ ისინი ყველა კონკრეტული საგნის სწავლის მიზნებთან, აქტივობებთან და შეფასების კომპონენტებთან.
8. გადაიხედოს შეფასების მეთოდები შემდეგი სავალდებულო კურსების სილაბუსებში - „სატელევიზიო მედია“, „ეფექტური პრეზენტაციის ტექნიკა“ და „ციფრული მედია და კომუნიკაცია“.
9. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა პროაქტიულად შეიძინოს დამატებითი აღჭურვილობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, პროგრამის მოსალოდნელი გაფართოების გათვალისწინებით
10. ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში არ იყო ზუსტი, რადგან მასში გამოტოვებული იყო საკვანძო ინფორმაცია. თვითშეფასების ანგარიში აუცილებელია იყოს ინფორმაციული, ანალიტიკური და არგუმენტირებული, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად უნდა იზრუნოს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე;
11. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო პერსონალი მუდმივად ეცნობოდეს მასობრივი კომუნიკაციის, ციფრული მედიისა და ჟურნალისტიკის თანამედროვე კვლევებს, რათა პროგრამამ შეინარჩუნოს რელევანტურობა და იყოს სასარგებლო დამსაქმებლებისთვის; და შეძლონ, სტუდენტებს დაეხმარონ ამ კვლევებზე წვდომაში.

2. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და დეპარტამენტის ჩანაწერები შეიცავს სრულ დეტალურ ინფორმაციას კლასგარეშე აქტივობების, ტრენინგების და შეხვედრების შესახებ (მაგ. ფოკუს ჯგუფები) და რომ ეს ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტებს, უნივერსიტეტის საზოგადოებას და პარტნიორებს;
3. სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შეიქმენას უკეთესი გზები სპეციალიზაციის უნარების შესაძენად.
4. სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტთან ერთად, უნივერსიტეტმა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ამ მექანიზმის სამუშაო პრინციპის შესახებ, ასევე ფოკუს ჯგუფების განრიგისა და ინფორმაციის შეგროვების თაობაზე და შემდგომ ანგარიში გააკეთოს მიგნებებსა და შეთავაზებულ ცვლილებებზე.
5. სასურველია, გადაიხედოს შეფასების მეთოდები, რათა შესაძლებელი იყოს უფრო მეტად განმავითარებელი შეფასებები.
6. სასურველია, დაწესებულებამ გააფართოვოს შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის;
7. სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად განაახლოს ვებგვერდი, რათა მასში მოცემული იყოს ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სტაჟირებების და პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ; კურსებში, რომლებშიც პრაქტიკა არის ინტეგრირებული, ეს ინფორმაცია სილაბუსებსა და სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ იყოს მითითებული.
8. სასურველია, სასწავლო გუნდმა გააგრძელოს თავდაუზოგავი შრომა, რათა უზრუნველყოს მასალებისა და რესურსების განახლება და კომუნიკაციების სექტორში არსებული თანამედროვე თემებისა და მიმდინარე მოვლენების ასახვა.
9. სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ვებგვერდიდან წაშალოს ინფორმაცია გაუქმებულ საბაკალავრო პროგრამაზე სახელად -"საზოგადოებრივი ურთიერთობები" რათა აბიტურიენტები და პოტენციური სტუდენტები შეცდომაში არ გაგრძელდეს მუშაობა სილაბუსების ინტერნაციონალიზაციაზე;
10. სასურველია, გადაიხედოს პროგრამაში არსებული სავალდებულო კურსების პროპორცია, ისე რომ შეიქმნას მეტი არჩევითი საგანი.
11. სასურველია, გაგრძელდეს მუშაობა სილაბუსების ინტერნაციონალიზაციაზე; გადაიხედოს რამდენიმე მოდული, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის პროგრამასთან არც ისე რელევანტური ჩანს.
12. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა აწარმოონ აღრიცხვა/ანგარიშები უნივერსიტეტში განხორციელებული იმ აქტივობების (პროექტების) შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მსგავსი აღრიცხვა/ანგარიში შემდგომში გამოდგება როგორც მტკიცებულება პროგრამის განვითარების ანგარიშებსა თუ ხელახალი აკრედიტაციის დროს;
13. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს არსებული ადამიანური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული საგნების უფრო ეფექტიანად სწავლებისათვის.
14. სასურველია, განხილულ იქნეს ზოგიერთ მოდულის გუნდური სწავლება, რათა გაუმჯობესდეს სწავლების მდგრადობა.
15. მიზანშეწონილია პროგრამის ინტეგრირების განხილვა გრძელვადიან საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა Erasmus+, რადგან ეს შესთავაზებს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოებასთან აქტიური ჩართულობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ასეთ პროექტებში მონაწილეობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, ხელი შეუწყოს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.
16. პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ბიუჯეტში შემოსავლის დამატებითი წყაროების გათვალისწინება.

17. მიზანშეწონილია შრომის ბაზრის კვლევაში ყურადღება გამახვილდეს უფრო სიღრმისეულ ანალიზზე, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სფეროსთან.

საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 05 მარტის N55 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	კვალიფიკაციის კოდი	0103 - მეცხოველეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0192, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ N17. კორპუსი 11
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის(60 დღიანი) საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30/03/2020; N63
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	კვალიფიკაციის კოდი	0103 - მეცხოველეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0192, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ N17. კორპუსი 11
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ, მარინე მაისურაძემ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი თამარ სანიკიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, ხოლო არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2020 – 2022 წლებში. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს, ხოლო გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2020 – 2022 წლებში. არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი: თამარ სანიკიძე - თავმჯდომარე, ნინო მელაშვილი - ექსპერტთა ჯგუფი წევრი. უნივერსიტეტის მიერ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა პროგრამის ქვეკომპონენტების და იმ სტანდარტების შეფასება, რომლებიც წარმოდგენილი იყო არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების მიზნით. "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაიცა რჩევები, რომლებსაც უნივერსიტეტი იზიარებს. ამრიგად, უნივერსიტეტის მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ლომიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხდა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 18:06
დასრულებისდრო: 18:09
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0788 - ინტერდისციპლინური

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. № 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ, მარინე მაისურაძემ და თინათინ ჭაბუკიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი თეა კასრაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარდა დისტანციური ფორმით, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით არაგეგმიური მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა). პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წელს. უნივერსიტეტმა შესაბამისობაშია მოიყვანა პროგრამა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან. სრულ შესაბამისობაშია 1.1, 1.2, 2.1, 2.3, 2.4, 4.1, 4.2 და 4.3 ქვესტანდარტები, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან 1.3, 1.4, 1.5 და 2.2 ქვესტანდარტები. პროგრამის მიმართ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. რეკომენდებულია, რომ დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაციები" უცხოურ ენაზე კი შეტანილი იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკაში. რეკომენდებულია, რომ მოხდეს შედეგების შეფასების დოკუმენტის მოდიფიცირება. მასში თითოეული სწავლის შედეგისათვის დეტალური შეფასების რუბრიკის გაწერით, სამიზნე ნიშნულების დადგენით, შესაბამისი სწავლის შედეგებისათვის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების შემუშავებით. რეკომენდებულია, რომ პროგრამაში სავალდებულო სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსები „არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა", „კაპიტალდაბანდების პოლიტიკა" და „ფინანსური გადაწყვეტილებები", „სტრატეგიული

მენეჯმენტი“ და „ადამიანური რესურსების მართვა“. რეკომენდებულია, რომ მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთგვაროვან მეთოდების და კრიტერიუმების განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დაკორექტირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას. რეკომენდებულია, რომ რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგებში დაფიქსირებული პრაქტიკული უნარების გასავითარებლად სასემინარო მეცადინეობებს დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები. რეკომენდებულია, რომ დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სამშენებლო ბიზნეს პროცესების ოპერაციების მენეჯმენტი“ სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემები ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს მშენებლობის ბიზნესის სპეციფიკა. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსში „შენობებისა და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა და მართვა“ დასკვნითი გამოცდის შეფასებების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მარტივად და გასაგებად. რეკომენდებულია, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს წინა სამაგისტრო საგამოცდო პრაქტიკის კრედიტების ხუთიდან ათ კრედიტამდე გაზრდა. თეა კასრაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ბოლო რეკომენდაციის გარდა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მარინა ჯავახიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტებსა და უნივერსიტეტს შორის შეთანხმება შედგა. ეს პროგრამა არის ინტერდისციპლინური, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და შედეგები. მოხდა პროგრამის სტრუქტურის კორექტირება. საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდა საინჟინრო სასწავლო კურსებით, კერძოდ დაემატა 4 ახალი სასწავლო კურსი. გარდა ამისა, 3 სასწავლო კურსი გადავიდა არჩევით სასწავლო ბლოკში. უნივერსიტეტი იზარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას, თუმცა საგამოცდო პრაქტიკის კრედიტების ხუთიდან ათ კრედიტამდე გაზრდას არ ეთანხმება. ეს ხუთი კრედიტი არის სემესტრის განმავლობაში 60 საკონტაქტო საათი. ხუთიდან ათ კრედიტამდე გაზრდა კვლევითი კომპონენტის კრედიტის შემცირების ხარჯზე ვერ მოხერხდება იმიტომ, რომ დებულება ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის არანაკლებ 30 კრედიტს. ექსპერტმა თეა კასრაძემ განმარტა, რომ აუცილებელია რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს წინა სამაგისტრო საგამოცდო პრაქტიკის კრედიტების ხუთიდან ათ კრედიტამდე გაზრდა იმიტომ, რომ ეს არის პრაქტიკული დარგი, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის დიდხანს ყოფნას და მეტი საათის გატარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას მემორანდუმებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ მემორანდუმებში არ იკვეთება სტუდენტთა მიღების რაოდენობა პრაქტიკის ობიექტზე. მას აინტერესებდა, არის თუ არა ისეთი მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მიღების რაოდენობას პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულების წარმომადგენელმა თინათინ დათიაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებასთან ფორმდება ორი ტიპის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია პრაქტიკის მისამართი, სტუდენტთა რაოდენობა და ა.შ. ექსპერტმა თეა კასრაძემ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ასეთი დოკუმენტები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სტუდენტთა მიღების რაოდენობას პრაქტიკის ობიექტზე. პროგრამის ხელმძღვანელმა მურმან ბაქრაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას. ახალი პროგრამა შემუშავებულია. შემცირდება კრედიტების რაოდენობა რიგ სასწავლო კურსებში და სტუდენტებს ინიციატივა აქვთ, რომ დააარსონ ფაკულტეტზე „შპს“. ოთხი წლის

განმავლობაში ბაკალავრები და ორი წლის განმავლობაში მაგისტრები გაივლიან თავიანთ შექმნილ სამშენებლო კომპანიაში პრაქტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა სასწავლო კურსებში პრაქტიკის გაძლიერებას, რათა მათ მართონ სამშენებლო ბიზნესი წარმატებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 18:28

დასრულებისდრო: 18:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

რეკომენდაციები

- დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (დეტალები იხილეთ 1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვის და ანალიზის ნაწილში). სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე" კი შეტანილი იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკაში;
- მოხდეს შედეგების შეფასების დოკუმენტის მოდიფიცირება მასში თითოეული სწავლის შედეგისათვის დეტალური შეფასების რუბრიკის გაწერით, სამიზნე ნიშნულების დადგენით. შესაბამისი სწავლის შედეგებისათვის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების შემუშავებით.
- პროგრამაში სავალდებულო სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსები: არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა; კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები; სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა
- მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთგვაროვანი მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, დაკორექტირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდნენ სასწავლო კურსის სპეციფიკას;
- რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგებში დაფიქსირებული პრაქტიკული უნარების გასავითარებლად სასემინარო მეცადინეობებს დაემატოს პრაქტიკული მეცადინეობები.
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „საამშენებლო ბიზნეს პროცესების და ოპერაციების მენეჯმენტი" სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემები ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს მშენებლობის ბიზნესის სპეციფიკა.
- სასწავლო კურსში „შენობების და ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა და მართვა" დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს მარტივად და გასაგებად.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს წინასამაგისტრო პრაქტიკის კრედიტების რაოდენობის 5-დამ 10 კრედიტამდე გაზრდა;

რჩევა:

- საურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) სილაბუსი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 14 ივლისის 18:35 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი